

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა


ლევან კოკორაშვილის
მოსამართლეობის კანდიდატის ----- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	73	100

სახელი, გვარი:

თარიღი:

08.07.2021წ.



15.07.2021წ.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბადრი შონია

„08“ ივლისი 2021 წელი

ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ლევან კოკორაშვილის შეფასების დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატ ლევან კოკორაშვილის შეფასების დასაბუთების შედეგის პროცესში ვიხელმძღვანელებ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კერძოდ, „კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრები, ამ კანონის 36³-ე მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35¹-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36⁴-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35¹-ე მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35¹-ე მუხლის მე-16 პუნქტით/36⁴-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36³-ე მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს”.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ ლევან კოკორაშვილის შეფასებისას მხედველობაში მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მასზე მოძიებული ინფორმაცია, მის მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები, აგრეთვე დავეყრდენი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სამოსამართლო გამოცდილების არმქონეა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³-ე მუხლის შესაბამისად ფასდება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹-ე მუხლის შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

➤ ფინანსური ვალდებულება;

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ, ლევან კოკორაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში ლევან კოკორაშვილთან დაკავშირებით არსებობს 3 სარეგისტრაციო ჩანაწერი, რომ კანდიდატი არის ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის დირექტორი, საქველმოქმედო ფონდი „პატრიარქი პატრიარქთა შორის“ დირექტორი და ინდივიდუალური მეწარმე.

რეკომენდატორის მითითებით კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, პასუხისმგებლიანი, პუნქტუალური, ობიექტური პიროვნება.

კანდიდატი არის პატიოსანი და კეთილსინდისიერი, აქვს პასუხისმგებლობის და მოვალეობის შეგრძნება, რაც მაძლევს საფუძველს, რომ კანდიდატი ლევან კოკორაშვილი ამ კომპონენტში შევავასო დადებითად.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ანდა შემომწირველი.

რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატის მთავარი პრინციპებია დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და მას ვერაფერი აიძულებს მათ დარღვევას.

ზემოაღნიშნული მაძლევს საფუძველს, რომ კანდიდატი ლევან კოკორაშვილი კეთილსინდისიერების ამ კომპონენტში შევავასო დადებითად.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. რეკომენდატორი კანდიდატს ახასიათებს, როგორც თავშეკავებულ, კორექტულ პიროვნებად, რომლის ქცევა შეესაბამება უზენაესისი სასამართლოს მოსამართლის ქცევის მაღალ სტანდარტს. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ ლევან კოკორაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი არ უფიქსირდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, დეპარტამენტის ერთიან საინფორმაციო ბანკში მოიპოვება ინფორმაცია ლევან კოკორაშვილის მიმართ წარსულში სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 369-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით), თუმცა აღნიშნული ფაქტის შესახებ თავად კანდიდატი განაცხადში უთითებს, რომ თბილისის საქალაქო

სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განაჩენით იგი გამართლებული იქნა, რაც შემდგომ სრულად გაიზიარა ზემდგომა ინსტანციის სასამართლოებმა.

კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა შემდეგ საქმეებში: სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ, დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 მაისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე); სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა); სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე); ადმინისტრაციულ საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა); სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ - დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, თანხის დაკისრება (გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს სამართალწარმოება); სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა); სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ - დავის საგანი: თანხის დაკისრება (ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 2019 წლის 11 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა); სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა).

კანდიდატი სასამართლოში დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნული მამლევს საფუძველს, რომ კანდიდატი ლევან კოკორაშვილი კეთილსინდისიერების ამ კომპონენტში შევავასო დადებითად.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატი სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. რეკომენდატორი აღნიშნავს რომ ლევან კოკორაშვილს აქვს ისეთი მაღალი სტანდარტის რეპუტაცია, რომ ეჭვს გარეშეა მის მიმართ პროფესიულ და პიროვნულ თვისებებზე რაიმე დოზით ეჭვის დადგომა, ვინაიდან იგი გამოირჩევა მაღალი სტანდარტების მახასიათებლებით პროფესიულ და პიროვნულ ჭრილში. რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეში უთითებს, რომ ის არის სენტემენტალური, მგრძობიარე, ფაქიზი ხასიათის, თუმცა იქვე დასძენს, რომ აღნიშნულ თვისებებს მას სისუსტედ ვერ ჩაუთვლიდა. კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მისი მონაწილეობის თაობაზე.

ზემოაღნიშნული მამლევს საფუძველს, რომ კანდიდატი ლევან კოკორაშვილი კეთილსინდისიერების ამ კომპონენტში შევავასო დადებითად.

5. ფინანსური ვალდებულება:

კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატის სახელზე უძრავ-მოძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის.

კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.

ამდენად მიმაჩნია, რომ კანდიდატის მოსამართლედ განწესების შემთხვევაში, მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების რაიმე საფუძველი არ იარსებებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლევან კოკორაშვილი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი ლევან კოკორაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- სამართლის ნორმების ცოდნა;
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პროფესიული თვისებები;
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

ლევან კოკორაშვილმა გასაუბრებისას მეტ-ნაკლებად გამოავლინა სამართლის ნორმების ცოდნა. კანდიდატმა სწორად იმსჯელა პატივისა და ღირსების ცნებებზე და მათ განმასხვავებელ ნიშნებზე. გარკვეულ სამართლებრივ შეკითხვებზე კანდიდატის მსჯელობისას დაფიქსირდა უზუსტობები. კანდიდატმა ვერ იმსჯელა სამართლის ნორმის განმარტების მეთოდებზე. ასევე ვერ განმარტა კანონის რეტროაქტიული და რეტროსპექტიული უკუძალის პრინციპი. კანდიდატმა ბუნდოვნად ისაუბრა იწვევს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება სამართლის ცალკეულ დარგებში გადაწყვეტილების გაუქმებას. ასევე მან არასწორად განმარტა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის საკითხი და არადადამაკმაყოფილებლად ისაუბრა საკონსტიტუციო სამართლოს კონტროლის ფუნქციაზე. კანდიდატმა სრულყოფილად ვერ გაავლო მიჯნა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებებს შორის. კანდიდატმა ვერ განმარტა რომელი საკანონმდებლო აქტით არის მოწესრიგებული ნორმატიული აქტების იერარქია. მან ასევე ვერ იმსჯელა სამოქალაქო პროცესში ე.წ. შეზრუნებულ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხზე. კანდიდატი არ იცნობს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ეტაპზე, წინასასამართლო

სხდომისა და საქმის არსებითი განხილვის დროს არსებულ მტკიცებულებათა სტანდარტებს. მართალია კანდიდატს არ გააჩნია სამოსამართლო გამოცდილება, თუმცა ზოგად სამართლებრივ საკითხებზე, თავისი ხანგრძლივი საადვოკატო საქმიანობის გათვალისწინებით, მისი მხრიდან მეტი ცოდნის გამოვლენის მოლოდინი მქონდა. არ გამორიცხავ, რომ აღნიშნული დაბნეულობა დაკავშირებული იყოს კანდიდატის შინაგან მღელვარებასთან.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - ლევან კოკორაშვილი შევაფასო - 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა უმეტესწილად არ იყო დამაჯერებელი და დამაკმაყოფილებელი. გაუჭირდა სამართლებრივი საკითხების გაანალიზება და შესაბამისად სწორი პოზიციის დაფიქსირება.

კანდიდატს აქვს საკმაოდ ხანგრძლივი სპეციალობით მუშაობის 19 წლიანი გამოცდილება. 2001-2019 წლებში კანდიდატი იყო ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - ლევან კოკორაშვილი შევაფასო - 16 ქულით.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

ლევან კოკორაშვილი გასაუბრებისას აზრს მეტ-ნაკლებად ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ შედგენილი შუამდგომლობა („უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ“) და ასევე მის მიერ შედგენილი საჩივარი („ახმეტის სასამართლოს 2003 წლის 4 დეკემბრის ბრძანებაზე“). მათი გაცნობის შედეგად შემძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. რეკომენდატორიც დადებითად აფასებს კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - ლევან კოკორაშვილი შევაფასო - 17 ქულით.

4. პროფესიული თვისებები

რეკომენდატორი უთითებს, რომ კანდიდატის პროფესიულ თვისებაში გამოარჩევს მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობას, მუდმივად ახლის ძიებისა და განვითარებისთვის სწრაფვას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - ლევან კოკორაშვილი შევაფასო - 12 ქულით.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა.

2001-2019 წლებში კანდიდატი იყო ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

2002-2003 წლებში საქართველოს იურისტთა ასოციაციასთან ერთად მონაწილეობდა საზოგადოებაში სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებისა და დამკვიდრების მიმართულებით რამოდენიმე პროექტში, რის საფუძველზეც გააკეთა საკუთარი ანალიზი სტატისტიკური მიმართულებით და დაწერა სამეცნიერო დასკვნა, რომელიც ასოციაციის მიერ მოწონებული, დამტკიცებული და გამოქვეყნებულია.

კანდიდატის ინფორმაციით, 2014-2015 წლებში მას მიენიჭა წარმატებული ქველმოქმედის ჯილდო.

გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ და ცდილობს პროფესიულ განვითარებას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - ლევან კოკორაშვილი შევაფასო - 7 ქულით.

6. პროფესიული აქტივობა

2003-2004 წლებში კანდიდატი ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ახაშენის საჯარო სკოლის სხვადასხვა კლასებში - ასწავლიდა სამართლის თეორიას და საფუძვლებს; ბავშვთა უფლებებს. სხვადასხვა საჯარო სკოლებში ატარებდა სემინარებს სახელმწიფო სამართლის, საზოგადოებაში კანონისა და თვითშეგნების პატივისცემისა და დამკვიდრების მიმართულებით.

კანდიდატის სხვა პროფესიული აქტივობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - ლევან კოკორაშვილი შევაფასო - 3 ქულით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლევან კოკორაშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 73 ქულა.

ხელმოწერა:

